გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 109

2022 წლის 10 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.18.170 უძრავი ქონების ფ/პ მამუკა ბერიკაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 14 თებერვალს N19/2022045104-20 განცხადებით მომართა მამუკა ბერიკაშვილმა (პ/ნ 59001027891), რომელშიც აღნიშნულია, რომ მოქ. მამუკა ბერიკაშვილს 2016 წლიდან იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა, გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი (ს/კ 66.45.18.170), რომელსაც გაუვიდა მოქმედების ვადა. ასევე აღნიშნულია, რომ ქონება ნაგავსაყრელად იყო ქცეული, ანტისანიტარიის გამო ვერ ხდებოდა მოქალაქეების მიერ მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობა. ყოველ გაზაფხულზე უხვი ნალექის პერიოდში ხდება გადასასვლელის დატბორვა და ყოველ ჯერზე ქონება საჭიროებს სპეც ტექნიკით წყლის ამოტუმბვას, რომელიც წესრიგდება, მოქ მამუკა ბერიკაშვილის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილია, საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება, რომლის საგანს წარმოადგენს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.18.170 მიწისქვეშა გადასასვლელი (მის: იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 08 აპრილის N095-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის (მიწისქვეშა გადასასვლელი) ს/კ 66.45.18.170 უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.18.170, დაზუსტებული ფართობით 178.00

კვ.მ., და მასზე განთავსებული შენობაN1 (მიწისქვეშა გადასასვლელი) - საერთო ფართით - 169.96 კვ.მ მისამართი: ქალაქი გორი, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 72,000.00 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის მდებარე ს/კ 66.45.18.170 მიწისქვეშა გადასასვლელის (დაზუსტებული ფართობით 178 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 169.96 კვ.მ), ფართით 178.00 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის არსებული ს/კ 66.45.18.170 მიწისქვეშა გადასასვლელი (გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის მდებარე ს/კ 66.45.18.170 მიწისქვეშა გადასასვლელის (დაზუსტებული ფართობით 178 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 169.96 კვ.მ), ფართით 178.00 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადასცეს ფ/პ მამუკა ბერიკაშვილს (პ/ნ 59001027891).

2. გორში, იუსტიციის სახლსა და სტადიონს შორის (მიწისქვეშა გადასასვლელი) ს/კ 66.45.18.170 უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.18.170, დაზუსტებული ფართობით 178.00 კვ.მ., და მასზე განთავსებული შენობა N1 საერთო ფართით - 169.96 კვ.მ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 72,000.00 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 7800 (შვიდიათას რვაასი) ლარით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა:

ა)კომერციული დანიშნულებით (მიწისქვეშა გადასასვლელში მოწესრიგებული იქნეს სავაჭრო ადგილები).

ბ) მოიჯარის მიერ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა ს/კ 66.45.18.170 რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

გ)გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ერთი თვით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

დ) 24 საათის განმავლობაში,ხელი არ შეეშალოს მიწისქვეშა გადასასვლელის ფუნქციონირებას, მისი დანიშნულებით.

ე)მოგვარებული იქნეს მიწისქვეშა გადასასვლელში დამდგარი წყლის პრობლემა არსებობის შემთხვევაში.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**